

# პატიმარ ქალთა უფლებები და გამოწვევები საქართველოში

ხათუნა ცენტერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამართლის სკოლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლის მაგისტრის აკადემიური  
ხარისხის*

*მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ხათუნა ცენტერაძე

28.06.2019

## აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ეხება პატიმარ ქალთა უფლებრივ მდგომარეობას საქართველოში, უფლებების დაცვის სამართლებრივ გარანტიებს, პენიტენციურ დაწესებულებაში არსებულ გამოწვევებს. ნაშრომში განხილულია, როგორც ეროვნული, ასევე საერთაშორისო კანონმდებლობა და სტანდარტები, რაც დაწესებულია პატიმარ ქალთა უფლებების დაცვის კუთხით.

საკვლევ საკითხს წარმოადგენს ქვეყანაში არსებული საკანონმდებლო ჩარჩო, მდგომარეობა ქალთა პენიტენციურ დაწესებულებაში და გატარებული რეფორმების ეფექტურობა.

კვლევის მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს ის გამოწვევები, რის წინაშეც იმყოფება სახელმწიფო და დაადგინოს, რამდენად ეფექტურად ხორციელდება რეფორმების გატარება და უფლებების დაცვა/განხორციელება, რაც საერთაშორისო სტანდარტებითაა გათვალისწინებული.

დასკვნისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შესწავლილია, როგორც ქართული კანონმდებლობა ასევე სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა, რიგ საკითხებთან მიმართებით.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ამ კუთხით მომუშავე ორგანიზაციათა კვლევის შედეგებზე, სტატისტიკურ მონაცემებზე, რეკომენდაციებზე და ამ რეკომენდაციების შესრულების ხარისხზე.

საძიებო სიტყვები - პატიმარი ქალები, რესოციალიზაცია, რისკები, სრული შემოწმება

## Abstract

The present paper(thesis) is about prisoner women rights condition in Georgia, protection guarantees and existing challenges in the penitentiary institutions.

Present paper discusses about existing national and international law and standards for protecting women rights.

The research issue is women rights protection law framework and effectiveness of the reforms done in this sphere.

The aim of this research is to show the challenges which the county has faced and how effective are the reforms done so far in comparison with the international standards and law.

In order to make the conclusion and the recommendations the paper will show Georgian law in this sphere and the best practice of other countries in the specific directions.

The paper emphasizes and shows the research and statistical results of some organizations. It will discuss about implication of the recommendations as well.

The research words: prisoner women , re-socialization, risks, strip- check.